ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60. 60233035**

თარიღი:**30/10/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 106^1 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონი ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის, 180-ე მუხლისა და საქართველოს კანონი ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 31-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრის“ (ს/კ 244969646) თანდართული წესდება ახალი რედაქციით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრის“ სადამფუძნებლო დოკუმენტში ცვლილებების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ახალი რედაქციით რეგისტრაციის მიზნით, ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა (ა. კინწურაშვილმა) წარმოადგინოს სსიპ. თვითმმართველი თემი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობაში.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 5 აგვისტოს N 39 885 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

5. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი